

**დავით აღმაშენებლის სახელობის სტუდენტთა საერთაშორისო
სამეცნიერო კონფერენციის დებულება**

1. ზოგადი დებულებები

- 1.1 კონფერენციის ორგანიზატორია თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილება (პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად).
- 1.2 დავით აღმაშენებლის სახელობის სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის დებულება (შემდგომში დებულება) აწესრიგებს კონფერენციის გამართვისა და განხორციელების მონიტორინგის წესს.
- 1.3 დავით აღმაშენებლის სახელობის სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის უფლება აქვთ ბაკალავრიატის (შემდგომში-ბაკალავრი), მაგისტრატურის (შემდგომში - მაგისტრი) სამართლებრივი სტატუსის მქონე პირებს.
- 1.4 კონფერენციის ჩატარების ადგილი-ქალაქი ქუთაისი. (შესაძლოა კონფერენცია ჩატარდეს ონლაინ რეჟიმში).

2. კონფერენციის მიზანი

- 2.1 უახლესი სამეცნიერო კვლევების, ინოვაციური მეთოდების, ციფრული ტექნოლოგიის მიღწევების წარმოჩენა და მათი პოპულარიზება სტუდენტებში.
- 2.2 ქართველ და უცხოელ მეცნიერთა შორის პარტნიორობა.
- 2.3 საკვლევო საკითხების ინტეგრაცია ეროვნულ და საერთაშორისო ქსელში.
- 2.4 სამეცნიერო საქმიანობაში სტუდენტთა აქტიური ჩართვის სტიმულირება.
- 2.5 მიღებული ცოდნის სისტემატიზაცია, დარგობრივი ცოდნის პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების გამოვლენა.
- 2.6 სტუდენტების მოტივაციის ამაღლება მეცნიერების ამა თუ იმ დარგის დასაუფლებლად.
- 2.7 ახალგაზრდა ნიჭიერი მკვლევარების გამოვლენა და წახალისება.

3. კონფერენციის ძირითადი წესები და საკონკურსო პირობები

3.1 კონფერენციაში მონაწილეობისათვის საჭიროა დებულებით გათვალისწინებული წესების დაცვა:

3.2 საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის უფლება აქვთ როგორც საქართველოს მოქალაქეს ისე უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს.

3.3 კონფერენციაში მონაწილეობის მსურველი სტუდენტი ვალდებულია გაიაროს რეგისტრაცია და რეგისტრაციისას წარმოადგინოს ნაშრომის ნაშრომის ქართულ და ინგლისურენოვანი თეზისი (ქართული სტუდენტმა ნაშრომის ელექტრონული ვერსია უნდა წარმოადგინოს ქართულ და ინგლისურ ენაზე, ხოლო სხვა ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში მხოლოდ ინგლისურად) ამ დებულების დანართის (ნაშრომის მომზადების ინსტრუქცია) მოთხოვნათა სრული დაცვით.

3.4 კონფერენციაში მონაწილე სტუდენტი ვალდებულია ნაშრომში და სამისამართო ზოლში მიუთითოს კონფერენციის დასახელება და სექცია.

3.5 ჟიურის წევრი, რომელიც ამავდროულად არის თემის ხელმძღვანელი, არ ახდენს აღნიშნული ნაშრომის შეფასებას; ასეთ ნაშრომს მიეცემა ჟიურის დანარჩენი წევრების ჯამური შეფასების საშუალო არითმეტიკული ქულა.

3.6 ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის კონკურსი ჩტარდება ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, კონფერენციაში გამარჯვებული სტუდენტები გამოვლინდებიან ჟიურის მიერ (თითოეულ სექციაზე ცალ-ცალკე) სწავლების საფეხურების მიხედვით.

3.7 ჟიურის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს მინიმუმ 3 წევრი (მათ შორის ჟიურის თავმჯდომარე), რომელთაც უნდა გააჩნდეთ ინგლისურენოვანი ტექსტის კითხვისა და ანალიზის უნარი.

3.8 სტუდენტის მიერ საკუთარი ნაშრომის წარმოდგენისა და ჟიურის წევრებთან კითხვა-პასუხის დრო განისაზღვრება 10-20 წუთით.

ჟიურის მიერ ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებია:

- ნაშრომის აქტუალურობა, (შეფასებისას დიდი მნიშვნელობა მიენიჭება კვლევითი ხასიათის ნაშრომს.
- ნაშრომში დასმული საკითხის ავტორისეული გადაწყვეტა და დასკვნების დასაბუთება.
- დისკუსია ჟიურის წევრებთან და კონფერენციის მონაწილეებთან.
- მეტყველების კულტურა, სლაიდებზე ინფორმაციის ნათლად და კომპაქტურად წარმოდგენა, რეგლამენტის დაცვა, პრეზენტაციის აუდიტორიისთვის გასაგები ფორმით წარმოდგენა.

3.9 თითოეულ კრიტერიუმში მაქსიმალური შეფასება არის 10 ქულა. საბოლოო შედეგი გამოითვლება თითოეული კრიტერიუმის ქულათა ჯამური რაოდენობით. ერთნაირი ქულების შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი სექციის ჟიური ხმათა უმრავლესობით.

3.10 კონფერენციის თითოეულ სექციაში გამარჯვებული ნაშრომის რაოდენობა არ შეიძლება იყოს სამზე მეტი - ერთი I, ერთი II, ერთი III, ადგილი (გამარჯვებულთა გამოვლენა ხდება სწავლების საფეხურების მიხედვით.

3.11 სექციის ხელმძღვანელი ვალდებულია, სექციის მუშაობის ანგარიში (ოქმის და დანართების, გამარჯვებული ნაშრომებისა და თეზისების ელექტრონული ვერსია) წარმოადგინოს ქალაქ ქუთაისის მერიის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილებაში სექციის მუშაობის დასრულებიდან 5 დღის ვადაში.

3.12 ჟიურის წევრების ანაზღაურებას უზრუნველყოფს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია.

4. განაცხადის შევსება და სამეცნიერო სექციაში მონაწილეობა

- 4.1 განაცხადის შევსება შესაძლებელია მხოლოდ **ონლაინ** რეჟიმში.
- 4.2 ერთ ავტორს ერთ სექციაში შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ **1 განაცხადი**.
- 4.3 განაცხადი მოიცავს **პირად მონაცემებსა და აბსტრაქტს**.
- 4.4 განაცხადი და აბსტრაქტი უნდა იყოს **ქართულ ან/და ინგლისურ ენებზე**.
- 4.5 აბსტრაქტი უნდა მოიცავდეს **1000-2000** სიმბოლოს /დაშორებების გარდა/.
- 4.6 სტატიას არ შეიძლება ჰყავდეს **3** ავტორზე მეტი.

5. კონფერენციაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ძირითადი თარიღები

- 5.1 კონფერენციაში მონაწილეობის მსურველ სტუდენტთა რეგისტრაცია და თეზისების მიღება (განაცხადის/აბსტრაქტის თანხლებით) იწარმოება 2021 წლის 15 სექტემბრიდან 15 ოქტომბრის 18:00 საათამდე. ელექტრონულ მისამართზე: contact@kutaisi.gov.ge
projects@kutaisi.gov.ge
- 5.2 სტატიის წარდგენის ბოლო ვადა 15 ნოემბერი 18:00 საათამდე.
- 5.3 კონფერენციის ჩატარების ადგილია ქ. ქუთაისი ან ონლაინ რეჟიმში-**ZOOM** პლატფორმა.
- 5.4 კონფერენცია გაიხსნება 2021 წლის 14 დეკემბერს 11:00 საათზე. კონფერენციის ჩატარების ადგილი ქ. ქუთაისი (ან გაიმართება ონლაინ რეჟიმში **ZOOM** პლატფორმის მეშვეობით). კონფერენციის ჩატარების ადგილი გამოცხადდება ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების ფ.გვერდზე (პარტნიორი უნივერსიტეტების ოფიციალურ ვებ გვერდებზე) და ყველა მონაწილეს ეცნობება ელექტრონული ფოსტის საშუალებით. კონფერენციის დაწყებიდან სულ მცირე, ერთი კვირით ადრე.
- 5.6 კონფერენციის სექციების მუშაობა გაიმართება 2021 წლის 14-15 დეკემბერს.

6. სამეცნიერო კომიტეტი

სამეცნიერო კომიტეტის შემადგენლობას ამტკიცებს ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი ბრძანებით.

7. კონფერენციის ორგანიზება და მართვა

7.1 კონფერენციის მომზადებას უზრუნველყოფს ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილება. (პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად).

აღნიშნულ განყოფილებას კონფერენციის ორგანიზებასთან დაკავშირებით ეკისრება შემდეგი ფუნქციები:

ა) ფაკულტეტების დეკანატებთან და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებით წარადგენს კონფერენციის სექციების ჟიურის შემადგენლობას.

ბ) საორგანიზაციო კომიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის გავრცელებას, ნამუშევრების მიღებას, დახარისხებას სექციების მიხედვით და ჟიურისთვის მიწოდებას.

გ) ინფორმაციას განათავსებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე **Kutaisi.gov.ge** და ინფორმაციას გაუგზავნის უნივერსიტეტებს.

დ) კონფერენციის მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით უზრუნველყოფს სხვა სამუშაოების ჩატარებას.

ე) ფაკულტეტის დეკანები და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილება ატარებენ ყველა საჭირო მოსამზადებელ სამუშაოს კონფერენციის მაღალ დონეზე ჩატარებისთვის.

ვ) ამ დებულების მიხედვით სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომების მიღებას უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი.

ზ) კონფერენციის სექციის სხდომის ოქმისა და ოქმის დანართების ელექტრონული ვერსიების წარდგენას უზრუნველყოფს სამეცნიერო კომიტეტი.

თ) ორგანიზებას უწევს კონფერენციაში მონაწილე სტუდენტების თეზისების კრებულის გამოცემას, კონფერენციაში მონაწილე სტუდენტებისთვის სერტიფიკატების, ხოლო გამარჯვებული სტუდენტებისთვის-დიპლომების დამზადებას და გადაცემას (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი და სექციის ორგანიზატორი უნივერსიტეტი).

8. კონფერენციასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები

სამეცნიერო კონფერენციასთან დაკავშირებით განხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები:

- გამოიცემა შრომის თეზისების კრებული, რომელშიც დაიბეჭდება კონფერენციაში მონაწილე თითოეული სტუდენტის ნაშრომის ქართულ და ინგლისურენოვანი თეზისები (კრებულში დაიბეჭდება მხოლოდ ამ დებულების მოთხოვნათა სრული დაცვით წარმოდგენილი თეზისები).
- კონფერენციაში მონაწილე გამარჯვებულ სტუდენტებს გადაეცემათ I, II და III ხარისხის დიპლომები და ფულადი ჯილდო: I ადგილი 500 ლარი, II ადგილი 300 ლარი III ადგილი 200 ლარი.
- კონფერენციაში მონაწილე სტუდენტებს, რომლებიც ვერ დაიკავებენ საპრიზო ადგილს, გადაეცემათ სერტიფიკატები.

9. კონფერენციის სამუშაო სექციები

9.1 კონფერენციაზე ფუნქციონირებს სხვადასხვა სექციები, რომელიც ყოველწლიურად განისაზღვრება.

9.2 2021 წლის დავით აღმაშენებლის სახელობის სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენციაზე ფუნქციონირებს შემდეგი სექციები:

- საერთაშორისო ურთიერთობები
- ციფრული ტექნოლოგიები

• ეკონომიკა

10. აბსტრაქტი

მომზადების ინსტრუქცია

10.1 აბსტრაქტის სათაური (მომხსენებლის სათაური)

10.2 აბსტრაქტის სტრუქტურა

• შესავალი და კვლევის მიზანი / შესავალი, კვლევის მიზნები ან/და ჰიპოთეზები/	
Introduction and aim:	Introduction to the study, it is objectives and/or hypotheses;
• კვლევის მეთოდოლოგია	/კვლევის დროს გამოყენებული მეთოდები/
Research methodology:	Methods used and/or approach taken;
• შედეგები და აპლიკაციები	/შეჯამებული შედეგები ან/და არგუმენტები/
Results and implications;	Results and/or arguments summarized;
• დასკვნა	/კვლევის მთავარი შედეგები/
Conclusion;	Main outcomes of the study.

10.3 აბსტრაქტი უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე (თითოეული 1000-2000 სიმბოლო დაშორების გარდა).

10.4 მიუთითეთ ერთმანეთისგან მძიმეებით გამოყოფილი 4-8 საკვანძო სიტყვა ქართულად და ინგლისურად.

სტატიის ფორმატირების ნიმუში

სტატიის ყველა კომპონენტის (სათაური, აბსტრაქტი, საკვანძო სიტყვები, თავები, ტექსტი და ა.შ.) ფორმატირების სტილი უკვე განსაზღვრულია. ქართული შრიფტისათვის ყოველთვის გამოიყენეთ Sylfaen, ინგლისურისათვის კი - Arial. აბზაცის ყველა სტრიქონს შორის დაშორება ერთი ერთეულია (Single). შეგიძლიათ ნიმუშის ასლი გადაიტანოთ თქვენს კომპიუტერში და ფორმატირების შენარჩუნებისათვის სტატიის ყოველი კომპონენტი ჩასვით შესაბამის ადგილზე.

11. ნაშრომის მომზადების ინსტრუქცია

11.1 ნაშრომი მოამზადეთ **Microsoft Word (2007-2019)** ტექსტური რედაქტორით და შეინახეთ **.doc** ან **.rtf** ფორმატით.

11.2 ნაშრომი მოიცავს სათაურს, მონაცემებს ავტორ(ებ)ის შესახებ, აბსტრაქტს, საკვანძო სიტყვებს, ნაშრომის შინაარსსა და გამოყენებულ ლიტერატურას.

11.3 ნაშრომის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს A4 ფორმატის მქონე 10 გვერდს.

11.4 ნაშრომს შეიძლება ჰყავდეს რამდენიმე ავტორი (არაუმეტეს 3 ავტორი).

11.5 ერთი ავტორი შეიძლება წარმოდგენილ იყოს მხოლოდ ორ ნაშრომში.

11.6 ნაშრომი უნდა იყოს შესრულებული კონფერენციის ერთ-ერთ სამუშაო ენაზე.

სტატიის სათაური [შრიფტი: 14 წერტ.(pt.), გამუქებული. აბზაცი: ცენტრის მიხედვითაა გათანაბრებული, ქვედა დაშორება 3 წერტ.]

*ავტორის გვარი და სახელი – აკადემიური ან ადმინისტრაციული თანამდებობა,
განყოფილება, უნივერსიტეტი, ქალაქი, ქვეყანა,
თანაავტორის გვარი და სახელი – აკადემიური ან ადმინისტრაციული თანამდებობა,
განყოფილება, უნივერსიტეტი, ქალაქი, ქვეყანა,
... [შრიფტი: 12 წერტ., დახრილი, აბზაცი: ცენტრის მიხედვითაა გათანაბრებული, ქვედა
დაშორება 6 წერტ.]*

**PAPER TITLE [FONT: 14 PT., BOLD, UPPER CASE. PARAGRAPH: CENTRED, SPACING AFTER
12 PT.]**

*Author Name – Position, Department, University, City, Country,
Co-author Name – Position, Department, University, City, Country,
... [Font: Arial, 12 pt., italic. Paragraph: centred, spacing after 6pt.]*

Abstract

[მოკლე შინაარსი წარმოდგინეთ **ინგლისურად** და მისი სიმბოლოთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 2000-ს (დაშორებების გარდა.) შრიფტი: Arial, 12 pt., გამუქებული. აბზაცი: ცენტრის მიხედვითაა გათანაბრებული, ზედა დაშორება 24 წერტ., ქვედა - 6 წერტ.]

Introduction and aim (შესავალი და კვლევის მიზანი): [შრიფტი: Arial, 10 წერტ. აბზაცი: მარცხენა კიდის მიხედვითაა გათანაბრებული, ზედა დაშორება 6 წერტ., ქვედა - 6 წერტ.]

Introduction to the study, it's objectives and/or hypotheses (შესავალი, კვლევის მიზნები ან / და ჰიპოთეზები) [შრიფტი: Arial, 10 pt., აბზაცი: ცენტრის მიხედვითაა გათანაბრებული, ზედა დაშორება 6 წერტ., ქვედა - 6 წერტ.]

Research methodology (კვლევის მეთოდოლოგია):

Methods used and/or approach taken (კვლევის დროს გამოყენებული მეთოდები);

Results and implications (შედეგები და იმპლიკაციები):

Results and/or arguments summarized (შეჯამებული შედეგები ან /და არგუმენტები);

Conclusion (დასკვნა) :

Main outcomes of the study (კვლევის მთავარი შედეგები).

Keywords (საკვანძო სიტყვები ინგლისურად): Innovation, technology, research projects, etc.
[შრიფტი: Arial, 10 წერტ. აბზაცი: ორივე კიდის მიხედვითაა გათანაბრებული,
ზედა დაშორება 12 წერტ., ქვედა -3 წერტ.]

აბსტრაქტის შაბლონი

[მოკლე შინაარსი წარმოადგინეთ ქართულად და მისი სიმბოლოთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 2000-ს (დაშორებების გარდა.) შრიფტი: , Sylfaen 12 pt., გამუქებული. აბზაცი: ცენტრის მიხედვითაა გათანაბრებული, ზედა დაშორება 24 წერტ., ქვედა - 6 წერტ.]

შესავალი და კვლევის მიზანი: [შრიფტი: Sylfaen 10 წერტ. აბზაცი: მარცხენა კიდის მიხედვითაა გათანაბრებული, ზედა დაშორება 6 წერტ., ქვედა - 6 წერტ.]

შესავალი, კვლევის მიზნები ან / და ჰიპოთეზები [შრიფტი: Sylfaen, 10 pt., აბზაცი: ცენტრის მიხედვითაა გათანაბრებული, ზედა დაშორება 6 წერტ., ქვედა - 6 წერტ.]

კვლევის მეთოდოლოგია:

კვლევის დროს გამოყენებული მეთოდები.

Results and implications (შედეგები და იმპლიკაციები):

შეჯამებული შედეგები ან /და არგუმენტები.

დასკვნა:

კვლევის მთავარი შედეგები.

საკვანძო სიტყვები: წარმოადგინეთ 4-8 მძიმეებით გამოყოფილი საკვანძო სიტყვა [შრიფტი: Sylfaen, 10 წერტ. აბზაცი: ორივე კიდის მიხედვითაა გათანაბრებული, ზედა დაშორება 12 წერტ., ქვედა -3 წერტ.]

1 პირველი თავის სათაური [შრიფტი: 12 წერტ. , გამუქებული. აბზაცი: მარცხენა კიდის მიხედვითაა გასწორებული, ზედა დაშორება 18 წერტ., ქვედა - 3 წერტ.]

მოხსენების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს A4 (21 სმ x 29,7 სმ) ფორმატის მქონე 10 გვერდს. გვერდის ყველა არე – 2.5 სმ. მთელი ტექსტი, ნახაზებისა და ცხრილების ჩათვლით, უნდა მომზადდეს ერთ სვეტად (Columns). [შრიფტი: 10 წერტ., აბზაცი: ორივე კიდის მიხედვითაა გათანაბრებული, ზედა დაშორება 6 წერტ., ქვედა - 6 წერტ.]

1.1 პირველი დონის ქვეთავის სათაური [შრიფტი: 12 წერტ., აბზაცი: მარცხენა კიდის მიხედვითაა გასწორებული, ზედა დაშორება 12 წერტ., ქვედა - 3 წერტ.]

გთხოვთ, ხელით არ დანომროთ თავები და ქვეთავები. ეს ნიმუში ავტომატურად შეასრულებს დანომრვას.

1.1.1 მეორე დონის ქვეთავის სათაური: ნახაზებისა და ცხრილების შესახებ [შრიფტი: 11 წერტ., დახრილი, აბზაცი: მარცხენა კიდის მიხედვითაა გასწორებული, ზედა დაშორება 9 წერტ., ქვედა - 3 წერტ.]

ნახაზები, ცხრილები, ფორმულები და გრაფიკული მასალები უნდა განთავსდეს ცენტრის მიხედვით, დაინომროს და გაუკეთდეს შესაბამისი წარწერა. საილუსტრაციო მასალის წარწერა მოათავსეთ ილუსტრაციის ქვემოთ. ცხრილის სათაური მოათავსეთ ზემოთ. ჩასვით საილუსტრაციო მასალები და ცხრილები ტექსტში მათი ხსენების შემდეგ. ფორმულებისათვის გამოიყენეთ ფორმულების რედაქტორი - Microsoft Equation, ხოლო გრაფიკული ფაილები ჩასვით .TIF, .PCX ან .JPG ფორმატით.

1.1.2 მეორე დონის ქვეთავის სათაური: გვერდების დანომრვის და შენიშვნების შესახებ

არ დანომროთ გვერდები. სქოლიო (Footnote) [შრიფტი: 8 წერტ.] მიუთითეთ მხოლოდ გვერდის ქვედა არის ფარგლებში.

1.1.3 მეორე დონის ქვეთავის სათაური: წყაროების მითითების შესახებ

გამოყენეთ იმდენი სათაური და ქვესათაური, რამდენიც გჭირდებათ (მაგ.: შესავალი, მეთოდოლოგია, შედეგები, დასკვნები და ა.შ.) და დაასრულეთ სტატია გამოყენებული წყაროების მითითებით. გამოყენებული წყაროები მიუთითეთ სტატიის ბოლოს, რომელთაც დანომრავთ კუთხური ფრჩხილებით, ტექსტში მათი გამოყენების თანმიმდევრობის მიხედვით (მაგ.: [1], [2], [3]).

2 მეორე თავის სათაური [შრიფტი: 12 წერტ., გამუქებული. აბზაცი: მარცხენა კიდის მიხედვითაა გასწორებული, ზედა დაშორება 12 წერტ., ქვედა - 3 წერტ.]

აქ აკრიბეთ ტექსტი ...

2.1 პირველი დონის ქვეთავის სათაური

აქ აკრიბეთ ტექსტი ...

2.1.1 მეორე დონის ქვეთავის სათაური:

აქ აკრიბეთ ტექსტი ...

გამოყენებული წყაროები [შრიფტი: 12 წერტ., გამუქებული. აბზაცი: მარცხენა კიდის მიხედვითაა გასწორებული, ზედა დაშორება 18 წერტ., ქვედა - 3 წერტ.]

ავტორის გვარი და ინიციალები. სამეცნიერო ნაშრომის დასახელება // გამოცემა (კონფერენცია, კონგრესი და სხვა). გამოცემის თარიღი. - გვ: NNN-NNN. [შრიფტი: 10 წერტ., აბზაცი: ორივე კიდის მიხედვითაა გათანაბრებული, ზედა დაშორება 6 წერტ., ქვედა - 6 წერტ.]

წიგნის ავტორის გვარი და ინიციალები. დასახელება. გამომცემლობა. - წიგნის გამოცემის თარიღი. - გვ. NNN-NNN.

Author last name, Initials. Scientific work title // Edition (magazine, conference, congress etc.).
Publishing Year. – Vol. N. - pp. NNN-NNN. [Font: Arial, 10 pt., Paragraph: left aligned, spacing before 6 pt., after 6 pt.]

Name Initials, Book name // Publisher. - Publishing year. Vol. N. - pp. NNN-NNN.

Encyclopedia Title, Edition Date. Vol. Number, "Article Title," pp. NNN-NNN.